შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას
სამზარეულოში FMG ოპერატორის პოზიციაზე

თანამდებობის მიზანი: სკოლის სალაროს მართვა და სასადილოში სწორი გაყიდვების უზრუნველყოფა

ფუნქცია-მოვალეობები:

ა) პროდუქტების ყოველდღიური შესყიდვების აღრიცხვა პროგრამულად;
ბ) ყოველდღიურად სკოლის კვებით ბლოკში (სასადილოში) წარმოებული, რეალიზებული პროდუქციის აღრიცხვა და არარეალიზებული ნაწილის ჩამოწერა FMG ბუღალტრულ პროგრამაში ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის მატერიალური სახით ამობეჭდვა, ხელმოწერებეით უზრუნველყოფა და დაარქივება;
გ) არსებული კალკულაციების პროგრამაში სიზუტით შეყვანა და კერძების თვითღირებულების მოწოდება მოთხოვნის შემთხვევაში;
დ) მოსწავლეთა/აღსაზრდელთა კვების ანგარიშის გახსნა შესაბამისი ბარათების საშუალებით;
ე) მოსწავლეთა კვებისთვის გამოსაყენებლი ბარათების ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი და გამოყენებული თანხის ჩამოჭრა;
ვ) ინტერნეტ-ბანკის საშუალებით მოსწავლეთა ანგარიშების შემოწმება და საბანკო ოპერაციების პროგრამული ასახვა;
ზ) კვებით ბლოკში მოლარეების კონტროლი გაყიდული პროდუქციის სწორად აღწერის მიზნით;
თ) ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 3 რიცხვისა სკოლის ბუღალტერიისთვის, კვებით ბლოკში ჩამოწერილი/დარჩენილი პროდუქციის რაოდენობის და ღირებულების, რეალიზებული პროდუქციის, აღწერის შედეგების და სხვა სახის რეპორტების მიწოდება;
ი) საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების/უფლებამოსილებების განხორციელება, უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.**მომსახურების გაწევის პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები:**

- კომუნიკაბელურობა;
- ყურადღებიანობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ინსტრუქციების დაცვის უნარი;
- ორგანიზებულობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: vacancy@europeanschool.ge 2022 წლის 30 ივლისამდე

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.